



„მაგთიკომმა“ მე-4 თაობის ინტერნეტის სიჩქარე 2-ჯერ გაზარდა

„მაგთიკომმა“ ყველა 4G სადგურზე მონაცემთა გადაცემის გამტარუნარიანობა ორჯერ გაზარდა, რაც ინტერნეტის თეორიულ მაქსიმალურ სიჩქარეს წამში 150 მეგაბიტამდე ზრდის.

დღეისთვის „მაგთიკომს“ საქართველოში მოქმედ მობილურ ოპერატორებს შორის, ყველაზე მეტი 2G/3G/4G საბაზო სადგური აქვს (კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2015 წლის მე-3 კვარტალის მონაცემებით). ამას მე-4 თაობის ინტერნეტის უკვე ორჯერ გაზარდილი სიჩქარეც დაემატა და შედეგად, მომხმარებელი „მაგთიკომისგან“ იღებს საუკეთესო ქსელს, ხარისხსა და ინტერნეტის სიჩქარეს.



რა უნდა იცოდეთ, თუ კრედიტს ვერ ფარავთ?



აი, როგორ ატყავებენ თნლიანსესნების გამცემი კომპანიები მომხმარებლებს:



სანამ მერიაზე მომუშავე ავტობუსების ყიდვა გადაწყვიტა, გაზის ფასი ბენზინისას გაუტოლდა



ზაზა ნატიაშვილი:
„ლეგან მურუსიძემ მოსამართლე ასვლედიანის მიმართ „გაეროს პრინციპების“ მე-8 მუხლი დაარღვია“



რაც თვა წულუკიანმა დააკლო იარაღის მოყვარულებს, ანლა გიორგი მღებრიშვილი უსრულებს!

ორი მუხლი, რომლის დამატებასაც უსს აბირებს



არჩევნების გაყალბების გარდა, რის გამო დაუპირისპირდა გოგი თოფაძე თინა ხიდაშელს?

რა უთხრეს მაღალჩინოსანმა სამხედროებმა პეტრე მამრადეს თავდაცვის მინისტრზე?



ჩატოა გვატყუებს ნატო?

რას ამბობს თბოზიცია ახატურაის განცხადებაზე?

რამდენად დასულია გაზარი ჭირით დაავადებული სხვრის სორსის მოხვედრისგან?



„დიდ სუბერმარკეტებშიც თავისუფლად აღწევს უკონტროლო სორცი“

ფაქტი... აგავი... მოვლენა... ფაქტი... აგავი... მოვლენა... ფაქტი... აგავი... მოვლენა... ფაქტი... აგავი... მოვლენა... ფაქტი... აგავი... მოვლენა... ფაქტი... აგავი... მოვლენა... ფაქტი... აგავი... მოვლენა... ფაქტი... აგავი... მოვლენა...

ირაკლი დლონტი „სააფთიაქო ნარკომანიის“ საგარაუდო მფარველებად დებუტატებს, პოლიციელებს და მთავრობას მიიჩნევს



მაგარი ქვეშაფსიები გამოდიან ნატო-ელები — არც ჰოს გვეუბნებიან, არც — არას



ნაკვეთები 3 ქალაქში, წილები 28 კომპანიაში, სასწები და საბანკო ანგარიშები — რა ქონებას ფლობს გოგი თოფაძე



დავით ნარმანია მერიაში საკადრო წმენდას არქიტექტურის სამსახურიდან იწყებს



მხილველ სახეობა
599 93-28-03



სამხრეთ-აღმოსავლეთის ნატო-ს არც ამ მინისტრიალიდან ელოდა გონიერი ადამიანი, მით უმეტეს, აპატურაძე ცივი წყალი რამდენიმე დღის წინ უკვე გადაგვასხა — მაპი არა, მაგრამ სხვა რამეს შემოგვთავაზებდნენ...

პოდა, ასეც მოხდა — ნატო-ს გენერალურმა მდივანმა, ისაო, საქართველო ჩვენი ერთ-ერთი უახლოესი პარტნიორია და ეს პარტნიორობა კიდევ უფრო გავაღრმავოთ, მაგრამო...

ჯანდაბა! მეტი რაღა უნდა გავაღრმავოთ, ეს დედაარდნიანი, როგორ და რანაირადღა უნდა გავაღრმავოთ, რომ ნატო მოვხიბლოთ?!

მაგარი ქვეშაფისები გამოდიან ნატო-ელები — არც პოს გვეუბნებიან, არც — არას, მაგრამ სიყვარულს გვპირდებიან, რაც უკვე გულისამრევია და ამაზრზენი!

სხვათა შორის, თავადაც აცნობიერებენ, რომ ამდენი ცრუ დაპირება უარყოფითი შედეგების მომტანი და სწორედ ამაზე ისაუბრა ამერიკის და-



მაგარი ქვეშაფისები გამოდინან ნატო-ელები — არც პოს გვეუბნებიან, არც — არას



ვერვის ხელმძღვანელმა ჯეიმს კლემენტმა სენატში სიტყვით გამოსვლისას:

— დასავლური ინტეგრაციის ნელი ტემპის გამო ქართულ ელიტასა და საზოგადოებას შორის მზარდი იმედგაცრუება და სულ უფრო მეტი ეფექტური რუსული პროპაგანდა ქმნის იმის პერსპექტივას, რომ თბილისმა უფრო მასშტაბური ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართულებით ძალისხმევა შესაძლოა, შეასუსტოს, ან შეაჩეროს. რუსეთთან დაძაბულობა კვლავ მაღალ დონეზე დარჩება და ჩვენი შეფასებით,

მოსკოვი ზენოლას გაზრდის თბილისზე, რათა ევროკავშირისა და ნატოსთან ახლო ურთიერთობებზე უარი თქვას, — აცხადებს ჯეიმს კლემენტი.

და ამ ფონზე, როცა თავადვე ხედავთ, რომ „პუ-ნინი“ სულ უფრო მძლავრობს, იენს სტოლტენბერგი მინისტრიალზე კვლავ ძველ და კარგად ნაცნობ სიმ-ლერას ასრულებს:


— მოკავშირეებმა მაღალი შეფასება მისცეს საქართველოს ძალისხმევას, გააძლიეროს დემოკრატიული ინსტიტუტები, თუმცა ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი უმნიშვნელოვანეს სფეროებში, სამართლის უზენაესობისა და სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის ჩათვლით. ყველა მოკავშირე მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში, — განაცხადა სტოლტენბერგმა.

და როცა რეალური შედეგი არ ჩანს არც ამ მინისტრიალიდან, თუ, რა თქმა უნდა, ბრახაბრუბა განცხადებებს არ ჩავთვლით, ზურკელასი არ იყოს, თინათინ ხიდაშელს მაინც ცრემლი მოსდის სიხარულით, სულ მთლად გადარეულია:

— საქართველოს მიმართ საკუთარი უკიდურესად პოზიტიური განწყობა პრაქტიკულად ყველა ქვეყანამ ცალსახად დააფიქსირა. გარდა ამისა, ჩვენ მივიღეთ დამატებითი ნინადადებები წვერი ქვეყნებისგან. ნატო-საქართველოს კომისიაზე ყველა ქვეყნისგან მივიღეთ თანხმობა კონკრეტული შემთავაზებებით, რომელი ქვეყანა რა მასშტაბით, რა ძალით მიიღებს დამატებით მონაწილეობას იმაში, რაც გვაქვს, — აცხადებს თავდაცვის მინისტრი...

მაპ-ის ნაცვლად სხვა რა უნდა შემოგვთავაზონ ალიანსის წევრმა ქვეყნებმა? იმედია, 25-სანტიმეტრის ანს გადგურჩებიან!...

ანა დოლიძე და ალექსანდრე ბარამიძე თანამდებობების დასატოვებლად ემზადებიან?



იუსტიციის სამინისტრომ გამოაქვეყნა იმ ადამიანების სია, რომლებსაც სტრასბურგის სასამართლოს მოსამართლეობის სურვილი აქვთ. 47-კაციანი სიაში რამდენიმე ცნობილ გვერთან ერთად იუსტიციისა და თავდაცვის მინისტრების მოქმედი მოადგილეებიც არიან.

როგორც აღმოჩნდა, თინა ხიდაშელის მოადგილე ანა დოლიძესა და თეა ნულუკიანის მოადგილე ალექსანდრე ბარამიძეს, ევროსასამართლოში მუშაობის სურვილი აქვთ. იმ შემთხვევაში თუ ისინი კონკურსში გაიმარჯვებენ, თანამდებობების დატოვება მოუწევთ.

თუმცა საყურადღებოა ისიც, რომ კონკურსი 2016 წლის ოქტომბერში უნდა დასრულდეს. ამ თარიღს საქართველოში საპარლამენტო არჩევნები ემთხვევა, რომლის შემდეგაც ქვეყანაში საკადრო გადაადგილებები, სავარაუდოდ, ისევე მოხდება. (politicomsant.ge)

ფაქტი... ანა... იუსტიციის... ფაქტი... ანა... იუსტიციის... ფაქტი... ანა... იუსტიციის...



სს „ხრამჭისი 2“ განმეორებით აცხადებს №X2-2016-7 ფასითა და გამოკითხვას ყარაბულახის სადერევეციო გვირაბის ინსტრუმენტალურ გამოკვლევასა და სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტის შედგენასთან დაკავშირებით

დანიტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დანერგვითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სს „ხრამჭისი 2“-ის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : +995 551 461949.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგინდეს იქნას სს „ხრამჭისი 2“-ის კანცელარიაში მისამართზე: თბილისი, აფაქიძის ქმ7

წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 25 თებერვალი 15 საათი.

„ბანკ რესპუბლიკას“ და დეველოპერულ კომპანია m2-ს შორის თანამშრომლობის ემორანდუმი გაფორმდა

m2-ში ბინის შექმნის მსურველებისთვის იპოთეკური სესხი მაქსიმალურად ხელმისაწვდომი და შეღავათიანი გახდა

დეველოპერულ კომპანია m2-სა და „ბანკ რესპუბლიკას“ შორის მემორანდუმი 11 ნოემბერს m2 გალერეაში გაფორმდა. მემორანდუმს ხელი მოაწერეს m2-ის გენერალურმა დირექტორმა ირაკლი ბურდულიაძემ და „ბანკ რესპუბლიკას“ კომერციულმა დირექტორმა რამაზ კუკულაძემ.



ციფლობს, შესაბამისად, იპოთეკური სესხის ხელმისაწვდომობა კლიენტის გადამწყვეტილებას ბინის შექმნის შესახებ მნიშვნელოვან განსაზღვრავს.

ჩვენ შევეცადეთ, რომ იპოთეკური სესხი მაქსიმალურად მიმზიდველი და შეღავათიანი გაგვეხდა და ფაქტობრივად, დღეს ბაზარზე არსებულ საპროცენტო განაკვეთებს შორის, ჩვენი იპოთეკური სესხი ყველაზე მინიმალურ პროცენტშია. მომხმარებელს საშუალება ექნება, რომ სესხი ასევე ევროში აიღოს, სადაც საპროცენტო განაკვეთი

კიდევ უფრო დაბალია. კლიენტებისთვის მეტი კომფორტის შესაქმნელად ჩვენ გამოყოფილი გვაქვს ცალკე სერვისცენტრი მელიქიშვილის გამზირზე. გარდა ამისა, საფილიალო ქსელი შექმნის, რომ მოემსახუროს მათ, ვისაც m2-ში ბინის შექმნა „ბანკ რესპუბლიკის“ იპოთეკური სესხით სურს. ნებისმიერ კითხვაზე პასუხს ჩვენი სატელეფონო ცენტრის მეშვეობით მიიღებთ, რომლის ნომერია: 2 90 90 90.

ირაკლი ბურდულიაძე, სს „m2 უძრავი ქონების“ გენერალური დირექტორი:

— ჩვენთვის „ბანკ რესპუბლიკასთან“ თანამშრომლობა იპოთეკური დაკრედიტების კუთხით ძალიან მნიშვნელოვანია. რადგან, ვაფართოებთ არეალს და ამჯერად „ბანკ რესპუბლიკასთან“ ერთად მომხმარებელს, ვისაც m2-ის 4 კომპლექსში ბინის შექმნა სურს, უზრუნველვით პირობებს ვთავაზობთ. m2 ამ ეტაპზე 6 პროექტს ახორციელებს. მათგან 4 — „ოპტიმა ისანი“, „m2 თამარაშვილზე“, „m2 ყაზბეგზე“ და „m2 ნუცუბიძეზე“ ან დასრულებულ ფაზაშია, ან დასრულებას უახლოვდება. დეველოპერული კომპანია m2-უძრავი ქონების მიხედვით, საქართველოში მცხოვრები ადამიანებისთვის უკეთესი ხარისხის კომფორტული და თანამედროვე საცხოვრებელი პირობების შექმნაა. m2 საქართველოში ხარისხიანი და კომფორტული ცხოვრების სტანდარტს ამკვიდრებს და მას ყველასთვის ხელმისაწვდომს ხდის. ჩვენ მუდმივად ვეძებთ ისეთ ნოვატორულ მიდგომებს, რომლებიც ახალ სიმაღლეზე აიყვანს საცხოვრებელი ფართის, როგორც ოპტიმალური დაგეგმვის, ისე მშენებლობის პროცესს.

მემორანდუმის ფარგლებში მომხმარებელს „ბანკ რესპუბლიკას“ იპოთეკური სესხით m2-ის მიმდინარე და დასრულებულ პროექტებში ბინების შექმნის საშუალება ექნება.

თანამშრომლობის შედეგად „ბანკი რესპუბლიკა“ m2-ის მომხმარებელს 2016 წლის 1-ელ მაისამდე იპოთეკურ სესხებზე უნიკალურ პირობებს შესთავაზებს.

კერძოდ, იპოთეკური სესხის პროცენტი დღეს, ბაზარზე არსებულ ტარიფებთან შედარებით, ყველაზე კონკურენტულია.

მაგალითად:

- 5 წლამდე სესხები — USD 6,76%, EUR 6.4% — (ეფექტური % USD 7.35, EUR 6.97);
- 10 წლამდე სესხები — USD 7,26% EUR 6.9% — (ეფექტური % USD 7.70%, EUR 7.31%);
- 15 წლამდე სესხები — USD 8,06% EUR 7,6% — (ეფექტური % USD 8.5%, EUR 8%).

აღნიშნული შეთავაზებით „ბანკი რესპუბლიკა“ m2-ში ბინის შექმნის მსურველებისთვის იპოთეკურ სესხს მაქსიმალურად ხელმისაწვდომსა და შეღავათიანს ხდის.

ამ ეტაპზე აღნიშნული პირობები m2-ის 4

პროექტზე გავრცელდება: — „m2 ყაზბეგზე“, „m2 ნუცუბიძეზე“, „m2 თამარაშვილზე“, „m2 ოპტიმა ისანი“.

ნათია ფრანგულაშვილი, „ბანკ რესპუბლიკას“ ალტერნატიული გაყიდვების არხების მართვის დეპარტამენტის უფროსი:

— „ბანკ რესპუბლიკას“ და m2-ს შორის თანამშრომლობა ძალიან საინტერესო იქნება პირველ რიგში მომხმარებლისთვის. დღეს ბაზარზე არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, მომხმარებელი ბინას იპოთეკური სესხით



„ნაკურთხი წყალი შეიძლება ყველაფერს ასხურო — აიფონსაც და ქალსაც“



სოციალურ ქსელში ვირუსივით გავრცელდა ვიდეო ნაკურთხ აიფონებთან დაკავშირებით. როგორც „აიფონ პლუსის“ მენეჯერმა აღნიშნა, „აიფონ პლუსი“ არის პირველი მალაზია, სადაც ნაკურთხ აიფონები გაიყიდება.

ამ კომენტარს ძალიან დიდი აფიოტაჟი მოჰყვა და სოციალური ქსელი ააფეთქა. ძალიან ბევრი ადამიანი გაბრაზდა, ზოგი კი გამზირულდა. უამრავმა ადამიანმა დააფიქსირა საკუთარი აზრი, მათ შორის არქიმანდრიტმა ანთიმოზმაც, რომელმაც „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე შემდეგი შინაარსის პოსტი გამოაქვეყნა:

– რა იყო, რა ამბავი ატყენთ?! ნაკურთხი წყალი შეიძლება ყველაფერს ასხურო: აიფონსაც, მანქანასაც, გაზის გამათბობელსაც და ქალსაც...

მალაზიის პატრონს უნდა მალაზია ნაკურთხი იყოს, აიფონის თუ სათვალეების. ათეისტები ნუ შეხვალთ, – წერს მამა ანთიმოზი. (ნუბსპესტ)

რა უნდა ისოდეთ, თუ კრედიტს პირ ფარკით?



გუშინ თუ ბანკი კრედიტი მიიღეთ, დღეს შეიძლება მისი გადახდა ვეღარ შეძლოთ. რა უნდა ქნათ ასეთ დროს?

პირველ რიგში, უნდა დამშვიდდეთ. არაფერი საშიშელი არ მომხდარა.

1. არავითარ შემთხვევაში არ დაემალეთ ბანკს. ზეპირი და წერილობითი ფორმით მიმართეთ და შეატყობინეთ, რომ უარს არ აცხადებთ კრედიტის გადახდაზე, მაგრამ ამ მომენტისთვის გამოუვალი სიტუაცია შეგექმნათ და ამის საშუალება არ გაქვთ (სამსახური დაკარგეთ, ავად გახდით და ასე შემდეგ).

2. წერილობითი ფორმით მოითხოვეთ საკრედიტო ხელშეკრულების პირობების შეცვლა – ამას რესტრუქტურალიზაცია ჰქვია. კრედიტის რესტრუქტურალიზაცია – ეს არის საკრედიტო ხელშეკრულების არსებითი პირობების ცვლილება (პროცენტები, ვადები და ა.შ.), რაც მოვალის სასარგებლოდ ხდება.

3. გახსოვდეთ, რომ კანონი თქვენს მხარესაა და თუ ვინმეს ვალი გაქვთ, მევალებმა გიჩივონ სასამართლოში და იმოქმედონ კანონმდებლობის ფარგლებში. თქვენი პასუხი კრედიტორების მიმართ ასე უნდა ჟღერდეს: „მე არ ვაცხადებ უარს გადახდაზე, მაგრამ ახლა ფული არ მაქვს, ამიტომ მიჩივლეთ სასამართლოში“.

4. თუ თქვენ სასამართლოში, ასევე, ბანკისთვის გაგზავნილ წერილებში ამტკიცებთ, რომ გადახდაზე უარს არ ამბობთ, იცოდეთ – სისხლის სამართლის კოდექსის არც ერთი

მუხლი, რომლითაც ბანკები და მევალებები გამიხიბენ, თქვენს წინააღმდეგ არ გამოიყენება!

5. ბევრ ქვეყანაში მოქმედებს კანონი, რომელიც უკანონოდ ცნობს გადაუადებულ კრედიტებზე დარიცხულ ჯარიმებს. და საერთოდ, ჯარიმები უნდა ირიცხებოდეს ეროვნული ბანკის მიერ დანესტრული რეფინანსირების საპროცენტო განაკვეთიდან გამომდინარე, რომელიც, მაგალითად, საქართველოში დღეისთვის გაიზარდა და უკვე წლიურ 8 პროცენტს შეადგენს.

გარდა ამისა, ჯარიმების თანხა არ უნდა აჭარბებდეს კრედიტის თანხას!

ამიტომ ჯარიმა დღემდე 1 პროცენტი, რასაც კრედიტზე თავისი შიდა სიტუაციიდან გამომდინარე არიცხავენ ბანკი, მათი გაბითურებაა, ვისაც საკითხი არ ესმის.

6. სასამართლო – ეს თქვენთვის გამოსავალია, ბანკისთვის კი – არასასურველი სიტუაცია! სასამართლო ბანკის სასარგებლოდ რომ წყვეტდეს ყველაფერს, მაშინვე მას მიმართავდნენ და არ დაინწყებდნენ დასაშინებელი წერილების თქვენთან გზავნას, რომლებშიც სისხლის სამართლის კოდექსითა და სასამართლოთი გემუქრებიან!

7. თუ თქვენ არ შეგიძლიათ, ამ საკითხით დამოუკიდებლად დაკავდეთ, აიყვანეთ ადვოკატი: ის გააფორმებს ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც გახდება თქვენი წარმომადგენელი და ურთიერთობა ექნება მევალებებთან და მათ წარმომადგენლებთან. (marshpress)

ტრაგედია კახეთში – ბადაურთან ავტოავარიას 5 ადამიანი ემსხვერპლა



კახეთში მომხდარმა ავტოავარიამ 5 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, 2 ადამიანი კი მძიმედ დაშავდა.

საგარეჯოს რაიონში სოფელ ბადაურთან ერთმანეთს „ოპელის“ მარკის მსუბუქი ავტომობილი და მიკროავტობუსი შეეჯახნენ. დაშავებულები საავადმყოფოში გადაიყვანეს. მათი მდგომარეობა მძიმეა. (ნუბსპესტ)

სუპერმარკეტ „სმარტის“ წინ დაცვის თანამშრომელი დაჭრეს



რუსთაველის გამზირზე სუპერმარკეტ „სმარტის“ დაცვის თანამშრომელი დაჭრეს. როგორც „სმარტის“ თანამშრომლები არაოფიციალურ საუბარში აცხადებენ, სუპერმარკეტის წინ „სმარტის“ დაცვის თანამშრომლებსა და რამდენიმე ახალგაზრდას შორის ფიზიკური დაპირისპირება მოხდა, რომლის დროსაც დაცვის ერთ-ერთ თანამშრომელს ცივი იარაღით ჭრილობა მიაყენეს. სხვადასხვა სახის დაზიანება მიიღო დაცვის კიდევ ორმა თანამშრომელმა.

დაჭრილები საავადმყოფოში არიან გადაყვანილი. მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. უცნობია, დააკავეს თუ არა ინციდენტის მონაწილეები. (ინტერპრესნიუსი)

საქართველოს მთავარ პროკურორს – ირაკლი შოთაძეს თბილისის მერს – დავით ნარმანიას!

2005 წლის 15 დეკემბერს, ღამის 4 საათზე, პრეზიდენტი სააკაშვილი, უშიშროების საბჭოს მდივანი ვანო მერაბიშვილი, პროკურორი ზურაბ ადგიმეილი, დედაქალაქის მერი გივი უგულავა და გლდანის რაიონის გამგებელი ნიკო ხაჩირაშვილი მივიდნენ ჩემს კუთვნილ ტერიტორიაზე, რომელიც გახლდათ შპს „გლდანი 2001“-ის ბალანსზე და მიიღეს 20 ათასი კვადრატული მეტრი მიწის ჩამორთმევის გადამწყვეტილება. მეორე დღეს, 16 დეკემბერს გააფორმეს ჩუქების სანოტარო აქტი, რომელსაც მერიის მხრიდან ხელს აწერს მამუკა ახვლედიანი, ხოლო ჩემზე ზენოლას ახორციელებდა გენინსპექციის უფროსის მოადგილე ხარშილაძე (ზურაბ ფვანიას დაცვის ყოფილი უფროსი).

2012 წლის ოქტომბერში, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, საჩივარი შევიტანე თბილისის პროკურატურაში, სადაც ისევ „ნაციონალების“ მიერ დანიშნულმა კადრებმა დაიწყეს განცხადების განხილვა. არანაირი შედეგი, მხოლოდ დავითზე მე. შარშან, როცა მთავარ პროკურატურაში შეიქმნა ახალი დეპარტამენტი, იქაც შევიტანე განცხადება. ოი, საოცრებაც, ჩემი მხრიდან ყველა მონწილე დავითზე, მაგრამ დღემდე საქმე გაჩერებულია. ასევე, არაერთხელ შევიტანე განცხადება თბილისის მერის სახელზე, სადაც გარკვევით მივუთითებ, რომ მართალია, მიმ-

დინარეობს გამოძიება, მაგრამ მერიას შეუძლია, შეასრულოს თავისი ვალდებულება და სამართლიანობის აღდგენის მიზნით, დამიბრუნოს ამჟამად სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი. სანოტარო აქტში გარკვევით წერია, რომ ჩამორთმეული მიწის ნაკვეთის ნაცვლად თბილისის მერია იღებს ვალდებულებას, მეპატრონეს გადასცეს, ასევე, მიწის ნაკვეთი სხვა ადგილზე. არავითარი რეაგირება, არავითარი პასუხი! ამ ყველაფრის მიზეზი კი გახლავთ ჩემი ახლობლობა გლდა-

ნის რაიონის ყოფილ გამგებელთან, სოსო ვაშაკიძესთან, რომელიც იყო და არის „ნაცხროვის“ მონაწილე. თავის დროზე მიწის ნაკვეთის წართმევის მიზეზი სწორედ ჩემი ახლობლობა გახდა. ჩემს კუთვნილ ტერიტორიაზე „ნაცხროვმა“ მოახერხა „რეველუციის პარკი“, რომლითაც ცალკე უნდა დაინტერესდეს ფინანსური პოლიცია. საინტერესოა, რა თანხები გაიფლანგა პარკისთვის საიდანაც მოტანილი მეორადი დანადგარებისთვის? საერთოდ, გასარკვევია, რამდენი მილიონი

დაუჯდა თბილისის მერიას ეს ყველაფერი? ტერიტორია ჯერ მიაქირავეს მათ მიერვე შექმნილ შპს-ს, შემდეგ მუნიციპალიტეტს დაუქვემდებარეს, ბოლოს კი ისევ ახალ შპს-ს გადასცეს იჯარით. ყველაფერი ხელის გულზე დევს, ამ საქმეს არ სჭირდება განსაკუთრებული გამოძიება, ქონება მიტაცებულია სააკაშვილის ბრძანებით და ვითხოვ სამართლიანობის აღდგენას. იმედია, დაინტერესდებით და გამოიტანთ შესაბამის გადამწყვეტილებას.



წართმეულია!!!

პატივისცემით, ლევან მაისურაძე – შპს „გლდანი 2001“-ის დირექტორი

სოსო ვაშაკიძის კომენტარი: „გამოძიება გრძელდება (იმედია, არა უსასრულოდ), მაგრამ ლევან მაისურაძის მიერ დასახელებული „ზუნების შეცდომები“ ქვეყნიდან გაქცეულები არიან. თუმცა ერთი (მამუკა ახვლედიანი) ამჟამად ზის თბილისის საკრებულოში, ხოლო მეორე (ნიკო ხაჩირაშვილი) სამშენებლო ბიზნესში. კიდევ ერთი საკითხი თბილისის მერიაში ჩაბუღებული „ნაცხროვის“ მეხოტბე იურისტების საყურადღებოდ, რომლებიც ამტკიცებენ, გამოძიების დასრულებას უნდა დაველოდოთ: გამოძიება მიმდინარეობს იმიტომ, რომ დამნაშავეები დაისაჯონ, ხოლო რა ვალდებულებაც აქვს ადგილი მერიას, ის უნდა შეასრულოს და ეს ყველაფერი წერია სანოტარო აქტში“.



ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

1. სერ-სემონის ბილი	2. პური ყველის გულთ	3. სადა-ფთ და-ფარული ძვირფასი	4. მსახიობი ბარდები	5. თოხ-კაციანი ახაშაბლი	6. ნუქე-ლესი აკადემია კახეთში	7. კომ-პოზიტორი ჯუზეპე	8. ძროხის ნაშიერი	9. ჯუჯა	10. მსახიობი პეპერნი																																
11. ქართ. ხალხური ზღაპარი	12. ქალაქი იმერეთში	13. მაროკოს დედაქალაქი	14. სოფელი რაჭაში	15. მისი დედაქალაქი	17. ილუ-ზიონისტი დევიდ	18. ლომი ჩანელილი სულღუნი	19. დანა-მულის კვლევის შედეგად	20. სასაფლაო თბილის-თან	21. ლინის პოეტური სახელ-წოდება	22. მსახიობი დანიელ	23. ცხედავ მზეს																														
29. ქართ. მიხერ-ლური წყარო	32. ძლიერი ნათურა	33. მეკობრე	34. მიქე-ლანჯელოს ქმნილება	39. ჯუჯა ცხენი	41. თევზის წყარო	42. საომარი ალტურ-ვილოზა	43. მწილი	44. იტალიან ნოთელ ლოცვები	45. სავანის ბინადარი ცხოველი	46. აფხაზური ნაჭაპური	47. ბარდი გისოცვი	48. კოსოვოს დედაქალაქი	49. პატარა ტანის ჩიტი																												
57. რომის პაპის რეზიდენ-ცია	58. თეატრ-ალური გახეხვა	59. ქვეყნის მკვიდრი მოსახლე	62. მსახიობი ლევ	63. რუსი მხატვარი	64. დაბალი ბარისის კონიკი	65. ქვეყნი-ვების-კაცი ისმალეთში	66. აქ გამწვანება ლაზიკა	67. მოდელი კასტა	68. სპე-ლენისა და თუ-თის შენადლობი	69. თაგი-სუფელი ფორმის ნაბარ-მიები	70. ცეცხლის ცეცხლი ისტორი-ში	71. მარცხი	72. ცხიმის ამოღება სხეულიდან	73. სურდო	74. გორგი-სააკაძის სოფელი	75. ზღა-საბუნ-წეთთან	76. პერსონა-გრატა	77. შამიანი გველი	78. სახელი და ...	79. მოსამარ-თის მოსახლენი	80. ქალაქი კანადაში	81. სოფელი კორის რაიონში	82. ლიბრი თვალზე	83. მდინარე ციმბირში	84. მემარც-ხენი ადაბიანი	85. მსახიობი ფორჯ	86. შინაგანი "მე"	87. არგენტ-ინი	88. პროვინ-ცია ესპანეთში	89. ლუდის მსალა	90. სოფელი კაპის რაიონში	91. მანეთის შეხედი	92. მისი დედაქალაქი სოფია	93. შოკოლადი პრეცისით	94. ავტო-ბუსში ბილეთების ბაჟი-გველი	95. ოპერა "კარმენის" მხატვარი	96. ყველაზე ღრუბ-ტა	97. ქართ. ჩაბატარი საკრავი	98. ყურის აბიეზა	99. შექსპი-რის ტრაგედია	100. ყოფილი მეკარე სერგი ...
103. მსახიობი იგორ	104. ფარული დაცემა	105. ცეცხლი	107. ბიბლიური მთა	108. კენის დედაქალაქი	109. ნარნერა კადრის ენა	110. კოსმო-ფონი	111. ექსტონეთის დედაქალაქი	112. ნიშნის საწინააღ-მდეგო	113. ყველაზე რბილი მინერალი	114. "ჩენი ენა" - ვასის	115. წერილი	116. ანზლი	117. "ჩემო ენა"	118. ნაზი, სათუთი	119. ლომის მოსახელი ვილი	120. მსახიობი დელონი	121. მიმიკის უქონლობა	122. მდინარის ვაჭი	123. გაფი-შვილი	124. მომდრალი ხუციმ-ვილი	125. ლრის საქმელი	126. მხატვარი კლოდ	127. მისი დედაქალაქი	128. ქვეყნები	129. კარგად მტკბარი ბურთი	130. კუნძული კანარის კუნძუ-ლებში	131. მხატვარი ავთო	132. სვე	133. მისი დედაქალაქი	134. მსახიობი გიბსონი	135. მხატვარი	136. პატარა არი	137. მხატვარი გრეკო	138. ტროის ბერძნული სახელ-წოდება	139. მდინარე აფრიკაში	140. ქრილობა					



101. მისი დედაქალაქი ... 102. ცეცხლის ცეცხლი ისტორი-ში ... 103. მსახიობი იგორ ... 104. ფარული დაცემა ... 105. ცეცხლი ... 106. ... ფონ ბისმარკი ... 107. ბიბლიური მთა ... 108. კენის დედაქალაქი ... 109. ნარნერა კადრის ენა ... 110. კოსმო-ფონი ... 111. ექსტონეთის დედაქალაქი ... 112. ნიშნის საწინააღ-მდეგო ... 113. ყველაზე რბილი მინერალი ... 114. "ჩენი ენა" - ვასის ... 115. წერილი ... 116. ანზლი ... 117. "ჩემო ენა" ... 118. ნაზი, სათუთი ... 119. ლომის მოსახელი ვილი ... 120. მსახიობი დელონი ... 121. მიმიკის უქონლობა ... 122. მდინარის ვაჭი ... 123. გაფი-შვილი ... 124. მომდრალი ხუციმ-ვილი ... 125. ლრის საქმელი ... 126. მხატვარი კლოდ ... 127. მისი დედაქალაქი ... 128. ქვეყნები ... 129. კარგად მტკბარი ბურთი ... 130. კუნძული კანარის კუნძუ-ლებში ... 131. მხატვარი ავთო ... 132. სვე ... 133. მისი დედაქალაქი ... 134. მსახიობი გიბსონი ... 135. მხატვარი ... 136. პატარა არი ... 137. მხატვარი გრეკო ... 138. ტროის ბერძნული სახელ-წოდება ... 139. მდინარე აფრიკაში ... 140. ქრილობა

ნაპროლოვაზი, განცხადებაზი, მილოცვაზი
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

ოსტეოპოროზის პროფილაქტიკისთვის ქლიავი გამოიყენეთ



ასაკის მატებასთან ერთად, ბუნებრივად, ძვლების სიმკვრივე იკლებს და 50 წელს გადაცილებული ადამიანები ოსტეოპოროზის რისკის ჯგუფში ექცევიან, რომლის მთავარი სიმპტომიც ძვლების მტვრევადობა გახლავთ.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ამერიკელი მეცნიერების აღმოჩენა ნამდვილად მნიშვნელოვანია, რადგან საქმე ეხება საკმაოდ ადვილ და რაც მთავარია, მკურნალობის ეფექტურ მეთოდს, რომელსაც ორგანიზმის ოსტეოპოროზისგან დაცვა შეუძლია.

კონტინენტსგალმელების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ქლიავის (განსაკუთრებით სასარგებლო ქლიავის ჩირი აღმოჩნდა) მიღება ადამიანს ძვლის მასის აღდგენის უნიკალურ შესაძლებლობას ანიჭებს.

ექსპერიმენტი ლაბორატორიულ თავგებზე ჩატარდა, რომლებიც ორ ჯგუფად იყვნენ დაყოფილები. ერთ ჯგუფს ექსპერტები ქლიავის ჩირით რეგულარულად კვებდნენ, მეორეს რაციონში კი აღნიშნული პროდუქტი საერთოდ არ შედიოდა. 6 თვის გასვლის შემდეგ დადგინდა, რომ თავგებს, რომლებსაც ქლიავი საერთოდ არ მიუღიათ, ძვლები უფრო მტვრევადი ჰქონდათ. ამასთანავე, ჩირის მიღებით მტვრელების ძვლების სიმკვრივე მთელი 85 პროცენტით გაიზარდა, სადამ ქლიავამ კი 50-პროცენტთან მატების შედეგი გამოიღო.

dr20.ru

იტალიელი განგსტერები ცეცხლსასროლი... ტელეფონებით შეიარაღდნენ

ალბათ, ასეთი იარაღი ძველი „კოზა ნოსტრას“ ნებისმიერ წევრს რომ ჰქონოდა, კიდევ უფრო მეტი შავ-ბნელი საქმეების „გაიამს-ქნებას“ შეძლებდა...



როგორც ირკვევა, მაფიოზურ დაჯგუფებებთან ბრძოლაში კარგად გამოიყენებოდა იტალიელმა სამართალდამცველებმა, კრიმინალების მიერ შესანიშნავად შენიღბული იარაღი აღმოაჩინეს, რომელსაც მობილური ტელეფონის გარეგნობა ჰქონია მიღებული.

იქაური მედიის ინფორმაციით, პოლიციამ უჩვეულო იარაღს ნეაპოლში, ერთ-ერთი კრიმინალის სახლის ჩხრეკისას მიაგნო. კერძოდ, ის კამორას ოჯახის წევრის კუთვნილება გახლდათ, მაფიოზური დაჯგუფებისა, რომელიც სათავეს ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის დასაწყისიდან იღებს.

22-კალიბრის იარაღი გარეგნულად არაფრით განსხვავდება ჩვეულებრივი ტელეფონისგან, თუმცა, თუკი მას კარგად შეისწავლით, აღმოაჩენთ, რომ კორპუსის უკანა მხარე განკუთვნილია არა ელემენტისთვის, არამედ ტყვიებისთვის. პოლიციელების განმარტებით, ტელეფონ-პისტოლეტში ოთხი ტყვია ეტევა, რომელთა გასროლა ერთ-ერთ ღილაკზე თითის დაჭერითაა შესაძლებელი.

factroom.ru

უპრობლემო მხედველობის ოქროს წესები



დაგვეთანხმდებით, საშინელებაა, როცა სამსახურიდან სახლში გადაღლილი ბრუნდებით, დგახართ გზაზე და ელოდებით „მარშრუტკას“, მაგრამ, სამწუხაროდ, მის ნომერს მხოლოდ მაშინლა ამჩნევთ, როცა მგზაურებით გადატენილი ავტომობილი გვერდს დიდი სიჩქარით ჩაგვივლით.

მოგეხსენებათ, მხედველობის პრობლემები მხოლოდ ამით შემოიფარგლება და შესაძლოა, ჯანმრთელობა კიდევ უფრო მეტად დაიზიანოთ, რაც, ცხადია, არც ერთ შემთხვევაში არ გსურთ.

ჰოდა, მაშ, ყურადღებით გაცნობით ბრიტანელი სპეციალისტების, როგორც თავად უნოდებენ, 4 ოქროს წესს:

მხედველობასთან დაკავშირებით, პირველ რიგში, ყურადღება კვებას უნდა დაუთმოთ. კერძოდ, ხშირად უნდა მიიღოთ სტაფილო და მოცვი – სტაფილო დღეში 3-4 ცალი, მოცვის წვენი კი ყოველდღიურად – 1 ლიტრამდე.

მეორე წესი – თვალბინის ვარჯიში. მათ შორის, ყველაზე ადვილი ასეთია: მზერა შორეულ საგანზე უნდა შეაჩეროთ, შემდეგ კი უცბად ახლო მდებარეზე გადაიტანოთ.

მესამე წესი – 5-წუთიანი შესვენებები. დატვირთული მუშაობის მოუხედავად, ყოველ 1-2 საათში თვალბინი მინიმუმ 5 წუთით მაინც უნდა დაასვენოთ.

მეოთხე წესი – ჯანსაღი ძილი. მისი დარღვევა უარყოფითად მოქმედებს იმუნურ სისტემაზე და მათ შორის, მხედველობაზეც.

myjane.ru

გაზეთი „ალია“ სამუშაოდ იწვევს უურნალისტებს!

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 577 74 99 89
„ალიას“ რედაქტორი თამაზ ბესტაგაშვილი (15 საათიდან)

განცხადება

შვეიცარიული ძველებურ ნივთები: ხმლებს, ხანჯლებს, ნახშირის სამოვრებს, მედლებს, ორდენებს, ვერცხლეულს, ძველებურ დამუშავებულ ქარვის, მარჯნისა და ფირუზის მძივებს. რუსულ მეფისდროინდელ მონეტებსა და ქალაქის ფულს 1898 წლამდე, რუსულ ნიგნებს 1940 წლამდე სამხედრო, ისტორიულ, კავკასიურ თემატიკებს. ლენინგრაძისა და გერმანულ ფაიფურის ფიგურებს, ძველებურ რკინის მასიურ ქანდაკებებს. ძველებურ ავტორიან ნახატებს, ძველებურ ოქროსა და ვერცხლის სამკაულს, ბინაზე მომსახურებით.

555 125 770; 596 777 773

ღვინო მამაკაცებზე დიეტასავით მოქმედებსო

გადასარევი ინფორმაციაა, რას იტყვიან, ძვირფასო მამაკაცებო? სხვათა შორის, სიახლე ლამის მთელმა ამერიკულმა მედიამ აიტაცა, დანკეებული ტელევიზორებით და დამთავრებულმა ბეტყურნი მედიით. კონტინენტსგალმელების მიერ ჩატარებული კვლევა აჩვენა, რომ მართალია, წითელი ღვინო ზედმეტი წონის დაგდებაზე გავლენას ვერ ახდენს, მაგრამ სამაგიეროდ, ამცირებს სისხლში შაქრის დონეს, ეხმარება წვეის დარეგულირებას და ღვიძლში ცხიმების რაოდენობასაც ამცირებს. გარდა ამისა, ალკოჰოლურ სასმელში შემავალი ნივთიერებები ორგანიზმზე თავიანთი ზემოქმედებით, სპეციალისტებს დაბალკალიორიულ დიეტას აგონებენ.

ექსპერიმენტების 30 დღის მანძილზე 11 ტარზონიანი მოხალისე საკვებ დანამატს იღებდა, რომელიც 99-პროცენტიანი სისხრის 150 მილიგრამ ტრანს-რესვერატროლს შეიცავდა.

სპეციალისტები ცდილობდნენ, დაეგინათ, რამდენ ენერჯის ხარჯავდნენ მოხალისეები, რა რაოდენობით ცხიმი ილექებოდა და ინებოდა ორგანიზმის მიერ.

შედეგების განალიზებით აღმოჩნდა, რომ რესვერატროლი აუმჯობესებს მეტაბოლიზმს და ასევე, სისხლსა და წნევას.

novonews.lv



გათხლებილი მთვრალი კოტე გაჩერებაზე დგას და რომ არ ნაიქცეს, ბოძს არის ჩახუტებული. - აქ რას აკეთებ, კოტე? - ავტობუსს ველოდები. - მე რე ამხელა „ტრუბით“ ვინ აგიშვებს, მოდი, მოგვმარები – მე წინიდან ავწევ და სახლამდე მიგატანინებ...

მომზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი

ალია გაზეთი, გამოცემული ბიორგი პრინციპი

რედაქტორი: თამაზ პასტაშვილი (577-74 99 89) 2212180 პირადი (102)
ხანგრძლივითი განყოფილების რედაქტორი - მიხეილ სახვაძე 599 93 28 03; 2-21-21-80 (108)
ოფისმენეჯერი - ტატა პრინციპი (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96
გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ტაშვაძე (599 55-45-22)
კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან პანთივილი

გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნებულ სტატიებზე საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია. მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარო სანქციები, „საავტორო და მომხრე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.

სარეკლამო სამსახური 2-333-170 577-444-442
ფაქსი: 221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge

ალია გაზეთი, ISSN 2216-0008, UDC (UAK) 070.4 (479.22) 9-49